ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4443824

ნომერი: AR1671488

თარიღი : 29.03.2019

გაცემის თარიღი : 03.04.2019

გაცნობის თარიღი : 03.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა გუგუშვილი პ/ნ 01017000220
- თბილისი გ.ჭანტურიას ქ. N 5 ბ. 15

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება № 4136775
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.08.2017

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განიმარტოს იცვლება თუ არა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ინდივიდუალური ფართების კვადრატულობა (იზრდება ან მცირდება), მიეთითოს ასეთი ფართების წილობრივი საკადასტრო კოდები და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრეების, მომავალი მესაკუთრეებისა და იპოთეკარების მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები .

2. როგორც წარმოდგენილი ბ- 19/01181631088-17 წერილით ირკვევა, შემცირებულია გამწვანების ფართი, ასევე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები და გათბობის კარადები. მოპირკეთება და გამწვანება ნაწილობრივ ცდება წითელ ხაზებს. საჭიროა ყოველივე ზემოაღნიშნული მოვიდეს შესაბამისობაში შეთანხმებულ პროექტთან და შემდგომ შეიტანოთ ცვლილება მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულ აქტში .

ასევე ირკვევა რომ ტერიტორიაზე მოწყობილია შლაგბაუმი. შესაძლებელია მოიხსნას და აისახოს მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ გაცემულ აქტში, ან წარმოსადგენია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

3. დამატებით წარმოსადგენია საექსპერტო შეფასება სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით წარმოებული მშენებლობის შესახებ;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.